

საქართველოს სკოლის ძრადიციული  
სახეობებისა და თამაშების  
ასოციაცია



ქართული  
საბრძოლო ხელთვნება

# ხევისურული ფარიკაობა

ისტორიული წყაროები და  
მოკლე აღწერილობა

პირველი რედაქცია



ხეხუთე  
კვლევა  
კომპლექსური  
კვლევა


საქართველოს სპორტის ტრადიციული  
სახეობებისა და თამაშების  
ასოციაცია



საქართველოს სპორტის ტრადიციული  
სახეობებისა და თამაშების  
ასოციაცია



ქართული  
საბრძოლო ხელოვნება



ისტორიული  
წყაროები და ზოგადი  
აღწერილობა

პირველი რედაქცია

თბილისი 2023 წ.

# ავტორისგან

წინამდებარე გამოცემა გაცნობითი ხასიათისაა და მიზნად ისახავს ჩვენი გუნდის მიერ წარმოებული კვლევითი საქმიანობის შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნას. მასში ზოგადად არის აღწერილი და ახსნილი ხევსურულ ფარიკაობაში რაოდენ დიდი მოცულობის მასალაა სხვადასხვა მიმართულებით შესასწავლი და აღსადგენი, რომლებიც შემდგომი კვლევის შედეგად უკვე ცალკე ნაშრომებად ჩამოყალიბდება.

ავტორი: გიორგი ლაცაბიძე

ექსპერტ-კონსულტანტი: ნოდარ ლურსმანაშვილი

ასისტენტები: ბაქარ ნათუნაძე და თევდორე ბერიაშვილი

სამეცნიერო რედაქტორი: კობა ჭუმბურიძე

მხატვარ-დიზაინერი: ლევან კიკალიშვილი

დაკაბადონება: მამუკა ხანთაძე

ფოტო გადაღება: მარიტა ბიბლაია და ირაკლი ქოქოსაძე

სათაურის შრიფტის ავტორი მხატვარი კალიგრაფი: დავით მაისურაძე

გამოცემა მომზადებულია კახაბერ ზარნაძის სახელობის სასწავლო-კვლევითი ცენტრის მიერ

გამოიცა საქართველოს კულტურის,  
სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს  
მხარდაჭერით



საქართველოს  
კულტურის, სპორტისა  
და ახალგაზრდობის  
სამინისტრო

ISBN 978-9941-8-6097-3

# ხევსურული ფარიკაობა

ფარიკაობა ქართველთა საბრძოლო ხელოვნების განუყოფელი ნაწილია. მას განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება, რათა არ დაიკარგოს ჩვენამდე მოღწეული ცოდნა.

ნაშრომის მიზანია სხვადასხვა ცნობების თავმოყრა და ისეთი სახის მიცემა, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო ცხადად დავინახოთ ფარიკაობის სრული სახე და შეძლებისდაგვარად აღვადგინოთ და საიმედოდ შევუნახოთ შთამომავლობას, როგორც ჩვენი კულტურის საამაყო მონაპოვარი.

ჩვენში ოდითგანვე მაღალ დონეზე იდგა საბრძოლო ხელოვნება, რასაც მოწმობს აღმოჩენილი არტეფაქტები (ქვის, ბრინჯაოსა და ფოლადის საბრძოლო იარაღი, აღჭურვილობა, დამხმარე საშუალებები) და ისტორიული წყაროები (ფ.ს. N1 და N2).

ეს გამოწვეული იყო იმ გარემოებით რომ ადგილობრივ მოსახლეობას მუდამ უწევდა ბრძოლა გადარჩენისათვის მომხვდურთა წინააღმდეგ, ასევე აღსანიშნავია რომ ლითონის დამუშავების პირველი კერებიც მსოფლიოში ქართველური ტომებით დასახლებულ ტერიტორიებზეა აღმოჩენილი



ფ.ს. N1



ფ.ს. N2

სხვადასხვა კუთხეში, განსხვავებული ბუნებრივი თუ სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო, საბრძოლო ხელოვნებამ ამ კუთხეებისათვის დამახასიათებელი ფორმა და ხასიათი შეიძინა და

ერთი საერთო სისტემის განშტოებულად ჩამოყალიბდა, რაც აისახა მეომრის აღზრდის ჩვეულებებზე, საქურველის აგებულებაზე, შესაბამისად ბრძოლის ტექნიკასა და ტაქტიკაზე.




ერთ-ერთი ამ კუთხებიდან ხევსურეთია, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა გარკვეულ იზოლაციაში თავისი ბუნებრივი რელიეფისა და მიუვალი ადგილმდებარეობის გამო. რამაც გამოიწვია მხოლოდ ამ კუთხისათვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულებებისა და საზოგადოების ჩამოყალიბება. ხევსურები ყოველთვის კარგ მეომრებად ითვლებოდნენ, მათ არ ეხებოდათ სახელმწიფო გადასახადები და ევალეობათ მხოლოდ შეიარაღებულ მებრძოლთა გამოყვანა ომების საწარმოებლად, აქედან გამომდინარე კი მთელი საზოგადოება თავისი ტრადიციებითა და ჩვეულებებით მორგებული იყო ამ სამხედრო წყობას. დიდი ყურადღება ექცეოდა ბავშვთა აღზრდას, საზოგადოების გამორჩეული წევრები კი ბრძოლაში გამოჩენილი და სახელმოსხვეჭილი მეომრები იყვნენ.



ისტორიულად ჩამოყალიბებული, ფიზიკური აღზრდისა და სამხედრო მომზადების სისტემის ძირითად ხერხემალს ხევსურებისთვის წარმოადგენდა ცივი იარაღით ბრძოლაში დაოსტატება, სადაც ძირითად სახეობას ფარიკაობა წარმოადგენდა.

მომზადების სისტემაში გაერთიანებული იყო, როგორც ფარიკაობის ტექნიკა, ისე



ბრძოლის ტაქტიკა და სტრატეგია, რაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ხევსურთა ტრადიციებთან და ყოფით კულტურასთან.

საბრძოლო იარაღის თავისებურებები, ტექნიკა და მეომრის მომზადების მეთოდები, მებრძოლის ეთიკა, შეჯიბრებათა ორგანიზების ფორმები, სამხედრო მომზადების ნორმატივები - ამ ყველაფერმა ასახვა ჰპოვა ხევსურულ ფარიკაობაში.



ფარიკაობაში (როგორც ვარჯიშში) დარტყმები ხორციელდება არა მჭრელი პირით, არამედ ყუით ან იარაღის სიბრტყით, შეტევის ზონებს კი წარმოადგენს თავი, მკლავები, ტანი და ფეხები. გამოირიცხება ქამრიდან ბარძაყის ნახევრამდე შეტევა, რასაც საუპატიუროს ეძახდნენ და აქ შეტევა სასირცხვილოდ ითვლებოდა.

ხევსურული ფარიკაობის შემდეგ ეტაპს ეწოდებოდა „ჭრა-ჭრილობა“. ის ატარებდა ორთბრძოლის ხასიათს. მეტოქეები ცდილობდნენ მასში წარმოეჩინათ თავისი ოსტატობა და მოწინააღმდეგისათვის მიეყენებინათ მსუბუქი ჭრილობები, რომლებიც არ იქნებოდნენ დასახიჩრების ან სიკვდილის მიზეზი.



როგორც წესი „ჭრა-ჭრილობაში“ მონაწილეობდნენ სხვადასხვა სოფლისა და გვარის წარმომადგენლები. ეს არ იყო მეგობრული პაექრობა და გამოწვეული იყო რაიმე კამათის ან წყენის გამო სამაგიეროს გადახდის მიზნით, რომელსაც ხევსურები შუღლს ეძახდნენ. მიზეზი ასევე შეიძლებოდა ყოფილიყო იარაღის ფლობის ოსტატობის წარმოჩენის სურვილი, მეტოქესთან ფიზიკური უპირატესობისა და სიმამაცის ჩვენება, რითაც ქალთა მოწონებას დაიმსახურებდნენ და თემში ავტორიტეტს აიმაღლებდნენ.

მიუხედავად ყველაფრისა, „ჭრა-ჭრილობა“ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დამთავრებულიყო მძიმე ტრავმით, რადგანაც მეომარს გარეშე მტერთან საომრად არ უნდა დაეკარგა ბრძოლის უნარი და მოწინააღმდეგის უნებლიედ სასიკვდილო დაჭრაც კი გამოიწვევდა სისხლის აღებას მოკლულის ნათესავების მხრიდან.



შეტვის ძირითად არეს წარმოადგენდა თავის ქალის ზედა ნაწილი, შუბლის ნაოჭებიდან თხემამდე, რადგანაც თავი დაცულია სქელი ქალის ძვლებით, მასზე მიყენებული მოზომილი დარტყმები არ იყო საშიში სიცოცხლისათვის. შესაძლებელი იყო ჭრილობის მიყენება სახის არეშიც, მაგრამ ამ შემთხვევაში დაზარალებულისთვის უნდა გადაეხადათ ჯარიმა, რომლის ოდენობასაც ხევსურული რჯულის კანონებით განსაზღვრავდნენ.


ხევსურები ფარ-ხმალთან ერთად სხვადასხვა სახის იარაღს იყენებდნენ: ხანჯალი, ხელშები, მშვილდ-ისარი, სათითენი (ლაჯიები, გორიანები, ლესულები და ა.შ.), შურდული,





ცეცხლსასროლი იარაღები (XV-XVI სს.), კარგ მეომარს უნდა სცოდნოდა მათი გამოყენება ბრძოლაში.

ფარიკაობისათვის საჭიროა საჭურველი შეტევისა და დაცვისათვისთვის: ხმალი, დაშნა, ხანჯალი, ფარი, სამხრე, სამკლავე, ჯაჭვის პერანგი, საფუხარი, ჩაჩქანი, სამუხლე, საბარკული, საჩერნე (ფ.ს.N3):



ფ.ს. N3

ხმალთან ქართველ მეომრებს ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდათ და ამ მხრივ გამონაკლისი არც ხევსურეთია. დიდ ბრძოლებში წარმატებით გამოყენებულ ხმლებს

სახელებსაც არქმევდნენ და განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდნენ.

კარგი ხმალი ძვირიადაც ფასობდა და ყოველთვის გამართული, მოვლილი უნდა ყოფილიყო, მუდამ მზადყოფნაში ბრძოლისათვის. ყველაზე ძვირფასად ითვლებოდა ხმალი, რომელსაც დავითფერულად მოიხსენიებდნენ. ასევე გავრცელებული იყო სხვა ხმლებიც (ფ.ს.N4): გორდა, კალდომი, ფრანგული, დედალრუსული, მამალრუსული, და ა. შ.



ფ.ს. N4

უპირატესობას ანიჭებდნენ სწორ ან ოდნავ გახრილ ხმლებს. ზოგი მათგანი ადგილზე მზადდებოდა, ზოგიც შემოტანილი იყო სხვა ქვეყნებიდან და შემდეგ გაწყობოდა ან გადაკეთდებოდა ადგილობრივი მოთხოვნების შესაბამისად (ტარი, ქარქაში, სამხარიალი, უკეთდებოდა სპილენძის თითბერის ან ვერცხლის სალტეები ფ.ს.N5).



ფ.ს. N5

დაშნა წარმოადგენდა შედარებით მსუბუქ იარაღს, ზოგიერთ შემთხვევაში სწევდა სატევრის მაგივრობას და ხმლისგან განსხვავებით სამხარიდლიოზე იკიდებოდა ერთი საკიდით გვერდზე, ვერტიკალურ მდგომარეობაში (ფ.ს. N6 და N7).



ფ.ს. N6



ფ.ს. N7

სატევარი, ხანჯალი, თუ ადგილობრივად გაეწყობოდა ჰქონდა თითბერისა და ვერცხლის ფირფიტები და სალტეები ტარსა და ქარქაშზე, ისევე როგორც ხმალსა და დაშნას, ხშირად კი დიდად არ განსხვავდებოდა სატევრის სხვა კავკასიური ტიპებისაგან, ჰქონდა

ორმხრივად ალესილი პირი და სიმეტრიული მოყვანილობა (ფ.ს. N8 და N9).



ფ.ს. N8



ფ.ს. N9

ხევსურული ფარი გამოირჩევა თავისი მცირე ზომით, რაც გამოწვეულია ხევსურული ფარიკაობის თავისებურებიდან, ის არის მრგვალი ან ოვალური მოყვანილობის, მსუბუქი, მოხერხებული სწრაფი დაფარებისთვის და უზრუნველყოფს კარგ დაცვას ცივი იარაღისაგან.



ფ.ს. N10

მზადდებოდა ადგილობრივი მეიარაღეების მიერ. რკინის, სპილენძის ან სპეციალურად დამუშავებული ხარის ტყავისგან გამზადებულ მგვალ ნაჭერზე, მოქლონებით გადაეკვრებოდა რკინის დეტალები - ხიდები, გუმბათი, გირგოლები (რგოლები), რაც ფარს აძლევდა საკმარის

სიმტიცესა და გამძლეობას. ფარს ხშირ შემთხვევაში აქვს ორი სამაგრი საკიდი თასმისათვის (ფ.ს.N10,11 და 12).



ფ.ს. N11.



ფ.ს. N12

ფარის უკანა მხრიდან დაყოლებული იყო ნაკეცი ტყავის ან თექის საფენი დარტყმის ძალის ჩასაქრობად, ხოლო ოთხ სამაგრში ამობმული ტყავის თასმები ერთმანეთში გადაწვნილ ქმნიდნენ საბლუჯს (სახელურს).

ხევსურული ფარის ერთ-ერთი ვარიანტია უბის ფარი (ფ.ს.N13), რომელიც კიდევ უფრო მომცროა და აქვს ოვალური ან მრგვალი ფორმა.



ფ.ს. N13

ის უბეში მაგრდებოდა და მკერდის დამატებითი დაცვის ფუნქცია ჰქონდა. ასევე შეძლებოდა გაეწია ძირითადი ფარის ფუნქცია საჭიროების შემთხვევაში. სხეულის დამცავი სხვა საშუალებები იყო: ჩაჩქანი ან ჩაბალახი, ჯაჭვის პერანგი, სამკლევები, საფურხები, საბარკულები, საჩერნენი (საწვივეები).

ჩაჩქანი შედგებოდა თავის ფორმაზე მორგებული რკინის გამოჭედილი ჯამისაგან და გარშემო შემოვლებული ჰქონდა ჯაჭვის რგოლები, გამოიყენებოდა თავის, სახისა და ყელ-კისრის დასაცავად. ჩაჩქანი მაგრდებოდა წვრილი ტყავის თასმით, რომელიც სახის გარშემო იკვრებოდა.

ჩაბალახიც იგივე ზონის დამცავი საჭურველია, ოღონდ ჩაჩქანისგან

განსხვავებით არ აქვს რკინის ჯამი და მთლიანად ჯაჭვის რგოლებითაა მოქსოვილი. ეს თავსაბურავები ან მთლიანად ფარავდა მთელ თავს, სახისა და კისრის ჩათვლით (ფ.ს.N14), ან სახის არეში ჰქონდა ამოღებული ნაწილი(ფ.ს.N15).

სავარაუდოდ ხევსურები მუზარადებსაც ხმარობდნენ რომლებიც დროთა განმავლობაში ჩაჩქანმა და ჩაბალახმა შეცვალა. თავის დამცავი საშუალებების ქვეშ ატარებდნენ თეჯის ქუდს, არსებობს ჩაჩქანიც რომელსაც ჯამის ქვეშ ნაბდის ნაჭერი აქვს გამოკრული.



ფ.ს. N14

სხეულის ზედა ნაწილის (როგორც წესი კისრიდან ბარძაყებამდე და იდაყვებამდე) დასაცავად ძირითადად ჯაჭვის პერანგი გამოიყენებოდა (ფ.ს.N16), თუმცა იყო შემთხვევებიც, როდესაც სხვა ტიპის (ფურცლოვანი ფოლადისაგან გამზადებულ) ჯავშანსაც იყენებდნენ.



ფ.ს N 15



ფ.ს. N16



ფ.ს. N17

ჯაჭვის პერანგი ფოლადის რგოლებისაგან იქსოვებოდა, იყო მოქნილი და არ ზღუდავდა მეომრის მოძრაობას (ფ.ს. N18). რიგ შემთხვევებში პერანგზე დამატებული ჰქონდათ ლითონის ფირფიტები, დამატებითი დაცვისათვის (ფ.ს. N17).




ფ.ს. N18

იდაყვებიდან მაჯებამდე ხელებს სამკლავეები იცავდა, მზადდებოდა ფურცლოვანი რკინისაგან და მაგრდებოდა ხელზე ტყავის ღვედებითა და სამაჯურით (ფ.ს. N19 და 20).



ფ.ს. N19



ფ.ს. N20



ფ.ს. N21

ხელის მტევანის დასაცავად საფურცო გამოიყენებოდა. ეს იყო ჯაჭვის პერანგის მსგავსად, რკინის რგოლებით მოქსოვილი ხელთათმანი, მტევნის ორივე ან მხოლოდ ზედა მხარე ჯაჭვით იყო დაფარული, რომელსაც მიკერებული ჰქონდა ქსოვილის სამაჯურები და წვრილი ღვედები ხელზე დასამაგრებლად.

საბარკული და საჩერნე შესაბამისად ბარძაყისა და წვივის დასაცავად იყო განკუთვნილი, მზადდებოდა როგორც ჯაჭვისგან ასევე ფურცლოვანი ფოლადისგანაც (ფ.ს. N21).



ფარ-ხმალის ტარება შესაძლებელია სხვადასხვა წესით (ფ.ს. N22, N23 და N24), სხვადასხვა საჭიროების შემთხვევაში (სალაშქრო, მგზავრობის და უშუალოდ ფარიკაობის წინ)



ფ.ს. N22



ფ.ს. N23



ფ.ს. N24

ფარიკაობისას ხმლის დაჭერის რამდენიმე ვარიანტი არსებობს: წინ, მარჯვნივ ან მარცხნივ მიმართული, მჭრელი პირით, ასევე მოწინააღმდეგისკენ მიმართული ყუით (180 გრადუსით მობრუნებული).

ეს მდგომარეობები დამოკიდებულია ფარიკაობის სახეობაზე (ფარიკაობა, ჭრა-ჭრილობა) და მებრძოლის მომზადების დონეზე. წინ მიმართული მჭრელი პირით ხმალი უჭირავთ (ფ.ს. N25) ან ჭრა-ჭრილობის დროს ან იმ შემთხვევაში, თუ მებრძოლი გამოცდილია და შეუძლია დარტყმის დროს შეატრიალოს მაჯაში ხელი. სხვა შემთხვევაში ხმალი მოწინააღმდეგეს ხვდება სიბრტყეზე ან გაულესავი „საშარით“ რაც ნაკლებად ტრავმატულია და ვარჯიშის დროს გამოიყენება (ფ.ს. N26, N27 და N28).



ფ.ს. N25



ფ.ს. N26



ფ.ს. N27



ფ.ს. N28

ფარი მეტწილად უჭირავთ მარცხენა ხელით, საბლუჯზე 4 თითის ამოღებით, მუჭში, თითების ბოლო ფალანგები ებჯინება ფარის სადებს (ფ.ს. N29).

მეორე ვარიანტი არის პირველის მსგავად სახელურზე 4 ამოღებული თითით, ოღონდ დაჭერა ხდება მეორე ფალანგებით და ცერა თითი შიდა მხრით ებჯინება სადებს (ფ.ს.N30). არსებობს ასევე სამი (ნეკის გამოკლებით) ან ორი თითით (ნეკის და არათითის გამოკლებით) დაჭერის ხერხები (ფ.ს. N31 და N32).



ფ.ს. N29



ფ.ს. N30



ფ.ს. N31



ფ.ს. N32

ხევსურული ფარიკაობისთვის დამახასიათებელია ფარისა და ხმლის ახლო ახლოს, ან ერთად დაჭერა (ფ.ს.N33 და N34), როგორც შეტევის, ასევე დაცვის დროს, მაგრამ ეს წესი ყველა საბრძოლო მდგომარეობაში არ გამოიყენებოდა და საჭიროებისამებრ დასაშვები იყო ფარ-ხმლიანი ხელების დამორეხა და ისე ფარიკაობაც.



ფ.ს. N33



ფ.ს. N34

## ფარ-ხმლის ერთად დაჭერის კომბინაცია რამდენიმე სახისაა:

- მტევნების ერთად დაჭერა ფარის უკან გვერდიგვერდ, ცერების პარალელურად (ფ.ს. N35);
- მტევნების ერთად დაჭერა ცერების გადაჯვარედინებით (ფ.ს. N36);



ფ.ს. N35



ფ.ს. N36

- მარცხენა ხელის ცერა თითი ედება უვადო ხმლის ან დაშნის ყუას ან ტარის უკანა მხარეს, როცა ხმლის წვერი მიმართულია ზემოთ (ფ.ს. N37);

ასევე არის კომბინაციები რომლის დროსაც ხმლის წვერი მიმართულია მარჯვნივ ან მარცხნივ:

- მარცხენა ხელი რჩება ადგილზე, ხოლო მარჯვენა ედება ზემოდან, ხმლის წვერი მიმართულია მარცხნივ (ფ.ს. N38);
- მარცხენა ხელი რჩება ადგილზე, მარჯვენა ედება ქვემოდან, ხმლის წვერი მიმართულია მარჯვნივ (ფ.ს. N39);
- მარცხენა ხელი რჩება ადგილზე, მარჯვენა ედება ქვემოდან, ხმლის წვერი მიმართულია მარცხნივ (ფ.ს. N40);



ფ.ს. N37



ფ.ს. N38.



ფ.ს. N39



ფ.ს. N40

ფარეკაობაში შეგვიძლია პირობითად გამოვყოთ საბრძოლო დგომები და საჭურველის პოზიციები. ეს მგომარეობები მუდმივი არაა და საჭიროებისამებრ იცვლება.

**დგომები:** ფეხები მხრების სიგანეზე თანაბრად, ან ერთი ფეხით ოდნავ წინ, მუხლები ოდნავ იხრება, შეჭურვილი ხელის მტევნები წინაა გაწეული (ფ.ს.N41), შესაძლებელია ერთ მუხლზე დგომა ან მუხლებში სრული ჩასვლაც, შესატევი ზონების შესამცირებლად (ფ.ს.N42). ხმალი ვერტიკალურ მდგომარეობაშია, მიმართულია წვერით ზემოთ, მჭრელი პირით მოწინააღმდეგისკენ.



ფ.ს. N41



ფ.ს. N42

არის დგომები (ფ.ს. N43,N44 და N45), როდესაც ხმალი გადახრილია პირველი მდგომარეობიდან მარჯვნივ ან მარცხნივ სხვადასხვა კუთხით (დაახლოებით 45, 90, 135 გრადუსით).



ფ.ს. N43



ფ.ს. N44.



ფ.ს. N45

ასევე არის დგომები, რომლებსაც მხოლოდ მოსისხლეებთან და უცხო მტერთან შერკინებისას იყენებდნენ, რადგან იძლევა ძლიერი დარტყმის საშუალებას: მარცხენა ფეხი წადგმულია წინ, ფარი მკერდის ღონეზეა, მარჯვენა ხელი გადატანილია უკან, ხმლის წვერი მიმართულია ზემოთ (ფ.ს. N46). ან იგივე პოზიციაში ხმლიანი ხელი გადატანილია უკან და დაშვებულია დაბლა (ფ.ს. N47).



ფ.ს. N46



ფ.ს. N47

გადაადგილება ხდება პატარა მიხტომებით წინ და გვერდზე გასვლებით, ნახტომისებური ნაბიჯებით რათა მოხდეს მოწინააღმდეგის შემოვლა გვერდიდან შეტევისთვის. დასაშვებია უკან ერთი ან ორი ნაბიჯის გაკეთებაც მოწინააღმდეგესთან მჭიდრო კონტაქტის შემთხვევაში, მანძილის გასაზრდელად, იარაღით მოქმედების შესაძლებლობის გაუმჯობესებისთვის.

ჭრა-ჭრილობის დროს შეტევა იყო იმდენად მოზომილი, რომ მოწინააღმდეგისთვის მიეყენებინა მსუბუქი სისხლმდენი ჭრილობა და არ გამოეწვია დახეიბრება. ხმლით შეტევა ხდება ორივე ხელის ოდნავ წინ წაწევით და მაჯით ხმლის დაქნევით, მსუბუქად კეთდება მკვეთრი, მჩხვავი დარტყმა (ფ.ს.N48 და N49).



ფ.ს. N48



ფ.ს. N49

დარტყმის მოგერიება ხდება ფარით, რომელიც დარტყმის სიბრტყისადმი მართობულ სიბრტყეშია (ფ.ს. N50). როგორც შეტევის,

ასევე მოგერიების შემდეგ, ფარ-ხმალი სწრაფადვე ბრუნდება საწყის პოზიციაში.



ფ.ს. N50

ომის დროს ასევე შესაძლებელია ჩხვლეტაც, რასაც ფარიკაობასა და ჭრა-ჭრილობაში არ იყენებენ, ამ შეტევით გამოწვეული დიდი ტრავმის გამო. ჩხვლეტის დროს მოძრაობა ჩეხვის მსგავსია, იმ განსხვავებით რომ თავდაპირველად ხდება ხმლის წვერის დაშვება-დამიზნება და შემდეგ ბიძგი ჩხვლეტის მიმართულებით .

ხანდახან უკეთესად მოგერიებისთვის, ფართან ერთად გამოიყენება ჯოხიც, დაახლოებით მეტრამდე სიგრძით და 3 სმ სისქით, რომელიც უჭირავთ მარცხენა ხელში ფართან ერთად ვერტიკალურ მდგომარეობაში, სიგრძის 2/3 ნაწილით სახელურის ქვემოთ. შესაძლებელია ამ ჯოხის მაგივრად დანის, დაშნის ან ხანჯლის გამოყენებაც.

ძირითადი მოგერიების საშუალება ფარია, ხმლით ან ხანჯლით მოგერიება ხდება მხოლოდ უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში (2 ან მეტი მოწინააღმდეგის შემთხვევისას). ზემოდან ხმლის თავში დაკვრის მოგერიება ხდება წინ გამოწვეული ფარის სწრაფად ზემოთ აწევით,

შუბლის დონეზე მაღლა და ხმალზე ფარის ზედა ნაწილის შეგებებით. (ფ.ს. N50 და ფ.ს. N51)

ძლიერი დაკვრის დროს ასევე შესაძლებელია ფარის ზედა ნაწილის მაგივრად, მთელი სიბრტყით შეგებება (ფ.ს.N52).



ფ.ს. N51



ფ.ს. N52

ყველაზე ხშირია დარტყმები თავის არეში, რომელშიც შეგვიძლია გავაერთიანოთ მხრებიც. თავში და მხრებში დარტყმის მოგერიების ტექნიკა მსგავსია.

შეტევები ასევე ხორციელდება ტანისა და ფეხების არეში (გამოირიცხება ქამრიდან ბარძაყის ნახევრამდე შეტევა, რასაც საუპატიუროს ეძახდნენ და აქ შეტევა სასირცხვილოდ ითვლებოდა) ამ შემთხვევაში შეტევისას საჭიროა მაჯის შეტრიალება ხმლის დარტყმის მიმართულებით.

მარჯვნიდან შეტევისას (შემტევის მდგომარეობიდან) - მაჯა გადაიხრება მარჯვნივ, (ხმლის წვერი გადადის მარჯვნივ). სხეულისა და ხელების მოძრაობა თავში დაკვრის იდენტურია, იმ განსხვავებით, რომ ტანის ოდნავ გადახრით იცვლება დარტყმის ტრაექტორიისათვის საჭირო მიმართულებით. მოგერიება ხდება ფარის წინ-მარცხნივ (თავდამცველის მდგომარეობიდან) გატანით და ხმალზე შეგებებით (ფ.ს. N53).



ფ.ს. N53



ფ.ს. N54

მარცხნიდან შეტევისას (შემტევის მდგომარეობიდან) - მაჯა გადაიხრება მარცხნივ, (ხმლის წვერი გადადის მარცხნივ). მოგერიება ხდება ფარის წინ-მარჯვნივ (თავდამცველის მდგომარეობიდან) გატანით და ხმალზე შეგებებით (ფ.ს. N54).

ფეხების არეში შეტევისას საჭიროა ნაწილობრივი ან სრულად ჩამუხვლა. ამ დროს შემტევს საჭიროების შემთხვევაში შეუძლია თავისუფალი (ჩაუმუხლავი) მუხლის საყრდენად გამოყენება (ფ.ს. N55 და N56).



ფ.ს. N55



ფ.ს. N56

ამ დარტყმის მოსაგერიებლად თავდამცველი ასევე იმუხლება, ხელები ჩააქვს დაბლა და აგებებს ფარს დარტყმის საპირისპიროდ.



აღსანიშნავია ფარიკაობისას გამოსაყენებელი, დარტყმის მოსაგერიებელი სხვა საშუალებები.

იმ შემთხვევაში თუ მოფარიკავს გარკვეული მიზეზების გამო ფარი თან არ ჰქონდა, მის მაგივრობას გასწევდა დამცავი საჭურველის რომელიმე ნაწილი ან სხვადასხვა საგანი, რაც მას ხელში მოხვდებოდა.

მაგალითად ფარის მაგივრობა შეეძლო სამკლავს (წინამხრის დამცავ საჭურველს) გაეწია (ფ.ს. N57), ასევე ჩაჩქან-ჩაბალახს (ფ.ს. N58), და საფუხარს (ფ.ს. N59), ხევსურულ ქუდს (ფ.ს. N60, ხევსურული ქუდი მზადდებოდა მაგრად მოთელილი მატყლით, ხანდახან მასში ჩამაგრებული იყო ხის ან ლითონის რგოლები რაც სიმტკიცეს აძლევდა და დაცვის დამატებითი საშუალება იყო).



ფ.ს. N57



ფ.ს. N58



ფ.ს. N59



ფ.ს. N60


ყოველი შეტევის დასრულებისთანავე მოფარიკავე კვლავ იბრუნებს პოზიციას მოსახერხებელი დაცვისთვის, რადგან შემტევს ყოველთვის შეუძლია სწრაფი კონტრშეტევის განვითარება.


შეტევა შესაძლებელია შედგებოდეს როგორც ერთი, ასევე რამოდენიმე დარტყმისაგან.

ხშირად გამოიყენება მოწინააღმდეგის დამახნვეული, ცრუ მოძრაობანი, რომელიც შეიძლება შესრულდეს იარაღით ან სხეულის მოძრაობით. ამას როგორც წესი მოყვება შეტევა.

ზემოაღნიშნული ელემენტების გაერთიანებით შესაძლებელია როგორც მარტივი (ერთი მოძრაობით), ასევე რთული (რამოდენიმე მოძრაობით) შეტევებისა და უკუშეტევების განვითარება. ქვემოთ მოყვანილ სქემა შედგენილია კახაბერ ზარნაძისა და კობა ჭუმბურიძის მიერ პროფესორ ვასილ ელაშვილის წიგნის მიხედვით „ხევსურული ფარეკობა“ (1956 წ. Парикаоба – Хувсурское Фехтование).

**შეტევისა და თავდაცვის  
კლასიფიკაციის ხეხსურულ ფარიკაობაში  
(ვ. ჭლაშვილის მიხედვით)**





**მარტივი შეტევები და უკუშეტევები:**

- თავში შეტევის მოგერიება ფარით (ფ.ს.N61) - ოდნავ გვერდით გადახრით უკუშეტევა თავში (ფ.ს.N62).



ფ.ს. N61



ფ.ს. N62

- მხარში შეტევის მოგერიება ფარით (ფ.ს. N63) - უკუშეტევა თავში (ფ.ს. N64).



ფ.ს. N63



ფ.ს. N64

- ფეხში შეტევის ჩამუხლული მოგერიება ფარით (ფ.ს. N65), - უკუშეტევა წამოდგომით თავში (ფ.ს. N66).



ფ.ს. N65



ფ.ს. N66

- შეტევა მკერდის არეში, - აცილება გასვლით (ფ.ს. N67), უკუშეტევა ყელის არეში წინ გადაადგილებით (ფ.ს. N68).



ფ.ს. N67



ფ.ს. N68

**რთული შეტევები და უკუშეტევები:**

- ორმაგი შეტევა, თავში დაკვრა, გვერდში შემოკვრა - მოგერიება ადგილზე, მოგერიება გვერდით გასვლით (ფ.ს. N69, 70), უკუშეტევა თავში წინ გადაადგილებით (ფ.ს. N71).



ფ.ს. N69



ფ.ს. N70



ფ.ს. N71

- ორმაგი შეტევა, ფეხში, თავში - მოგერიება ჩამუხვლით მოგერიება ადგილზე (ფ.ს. N72, 73), უკუშეტევა ფეხში, გასვლითა და ჩამუხვლით (ფ.ს. N74).



ფ.ს. N72



ფ.ს. N73



ფ.ს. N74

- მსგავსი კომბინაცია, მოგერიება (ფ.ს. N75, 76), და უკუშეტევა (ფ.ს. N77), ხორციელდება ჩამუხლული პოზიციიდან, ასევე უკუშეტევისას ფარ-ხმალი იხსნება (შორდება ერთმანეთს)



ფ.ს. N75





ფ.ს. N76



ფ.ს. N77

- შეტევა მხარში (ფ.ს. N78), - ორმაგი უკუშეტევა, ზემოდან დაკვრა თავში, ხლის გამოტარება ფარის ქვეშ და შემოკვრა გვერდიდან თავში (ფ.ს. N79, 80).



ფ.ს. N78



ფ.ს. N79



ფ.ს. N80

- ორმაგი შეტევა, სხვადასხვა მხრიდან ფეხში, - მოგერიება ჩამუხლული, (ფ.ს. N81, 82) უკუშეტევა წამოდგომით ჩხვლეტა მკერდის არეში (ფ.ს. N83).



ფ.ს. N81



ფ.ს. N82



ფ.ს. N83

- ორმაგი შეტევა - ფეხში, თავში; პირველი მოგერიება ჩამუხვლით, შემდეგ დგომში (ფ.ს. N84, 85) და უკუშეტევა - თავში შემოკვრა გასვლით (ფ.ს. N86).



ფ.ს. N84



ფ.ს. N85



ფ.ს. N86

მსგავსი კომბინაციები მრავალფეროვანია და მათი პრაქტიკაში გამოყენება დამოკიდებულია მოფარიკავის ტექნიკურ ღონესა და შესაძლებლობებზე.

ხევსურული ფარიკაობისთვის დამახასიათებელია მკვეთრი, მოკლე და ძალის დამზოგი მოძრაობები. კარგი მოფარიკავე ასრულებს მხოლოდ აუცილებელ მოძრაობებს, რაც შეიძლება მცირე ამპლიტუდით. ამის გამო ხევსურული ფარიკაობის ტექნიკის გამოყენება მოსახერხებელია შეზღუდული სივრცისა და ფართობის პირობებში.

ფარიკაობა იმართებოდა არა მხოლოდ ორ მეტოქეს შორის, არამედ წყვილებს შორისაც 2/2-ზე, რაც კიდევ უფრო რთული სახით წარმოგვიდგენს მის ტექნიკას. ამ შემთხვევაში მოფარიკავემ უნდა იზრუნოს არა მხოლოდ საკუთარ დაცვაზე არამედ ეცადოს ისეთი მოქმედებები შეასრულოს, რაც ორივე მეტოქეს დააკავებს და მის მეწყვილეს მისცემს შეტევის საშუალებას, ან თავად შეარჩევს დროს და მოასწრებს ერთ ან ორივე მოწინააღმდეგეზე შეტევას. გამოცდილ მოფარიკავეებს ორ ან მეტ მეტოქესთანაც შეეძლო ფარიკაობა.

მოძიებული ინფორმაციისა და კვლევების საფუძველზე გაიმართა პრაქტიკული ვარჯიშობანი, რისთვისაც შეიქმნა შესაბამისი საჭურველი.

პრაქტიკულმა გამოცდილებამ გამოავლინა, რომ მომავალში კიდევ შეიძლება საჭურველის დახვეწა (წონების შემცირება, ზომების ინდივიდუალური მორგება, უკეთესი მასალების შერჩევა და ა.შ.) მისი დაცვის ფუნქციის შეზღუდვის გარეშე რაც ფარეკაობისათვის საჭირო ელემენტების უკეთ შესრულების და შესწავლის საშუალებას მოგვცემს.

ასევე საჭიროა გაგრძელდეს კვლევები და ექსპედიციები ამ მიმართულებით, რაც კიდევ უფრო შეავსებს და გაამდიდრებს მოპოვებულ ინფორმაციას და მიგვაახლოებს ხევსურული ფარეკაობის რეალურ სახესთან.



საქართველოს სკორტის ტრადიციული  
სახეობებისა და თამაშების  
ასოციაცია



## საკონტაქტო ინფორმაცია

საქართველოს სპორტის ტრადიციული სახეობებისა და თამაშების ასოციაცია      traditional sport geo@gmail.com

გიორგი ლაცაბიძე      591 19 07 09      giorgi.qsx@gmail.com

ნოდარ ლურსმანაშვილი      593 163 912      n.lursmanashvili61@gmail.com

კობა ჭუმბურიძე      599 70 60 69      koba.chumburidze@gmail.com

საქართველოს სპორტის ტრადიციული  
სახეობებისა და თამაშების  
ასოციაცია





ხელნაწი  
კოლოკოძე

საქართველოს სპორტის ტრადიციული  
სახეობებისა და თამაშების  
ასოციაცია





საქართველოს სპორტის ტრადიციული  
სახეობებისა და თამაშების  
ასოციაცია

